ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №183/30
ქ. თბილისი

17 . 09 . 15 . 183/30

17 სექტემბერი, 2015 წელი

შემსყიდველი: სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკი", აღმასრულებელი დირექტორის გიორგი მელაშვილის სახით;
მისამართი: სანაპიროს ქ. 2, თბილისი 0114, საქართველო;
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 824 148.

მიმწოდებელი: შპს "ჯორჯიან ეარვეისი", მისი გენერალური დირექტორის იასე ზაუტაშვილის სახით;
მისამართი, ტელეფონი: ქ.თბილისი, სამგორის რაიონი, აეროპორტის დასახლება №79;
საიდენტიფიკაციო კოდი: 208 205 360;
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22; ა/ა № GE75BG0000000491287000.

ერთის მხრივ - შემსყიდველი, და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვით, შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მომსახურების (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი") შესყიდვა (CPV კოდი – 60424110).

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებულ მომსახურებას წარმოადგენს თბილისი - ბათუმი - თბილისის მიმართულებით, ცენტრალური აზიის, შავი ზღვის რეგიონისა და ბალკანეთის ცენტრალური ბანკების მმართველთა კლუბის მონაწილეთა თვითმფრინავით (CRJ, 50 მგზავრი) გადაყვანა.

1.3. გაფრენა თბილისი - ბათუმის მიმართულებით განხორციელდება 2015 წლის 26 სექტემბერს 18:00 საათზე, გაფრენა ბათუმი - თბილისის მიმართულებით განხორციელდება 2015 წლის 27 სექტემბერს 15:00 საათზე.

1.4. საჰაერო ხომალდის უსაფრთხო ექსპლუატაციის ორგანიზაცია და კონტროლი, მისი ვარგისიანობის შენარჩუნება წარმოებს მიმწოდებლის მიერ საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის ქვეყნის წესების მიხედვით.

1.5. ხელშეკრულების 1.3. პუნქტით განსაზღვრული რეისები შესრულდება მიმწოდებლის (ავიაკომპანიის) კოდით.

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი, ამავე დეპარტამენტის სპეციალისტი და/ან სებ–ის პრეზიდენტის აპარატის უფროსი.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს ეტაპობრივად **2015 წლის 26 სექტემბერს** და **27 სექტემბერს**.

3.2. მომსახურების ან მისი ნაწილის გაწევა ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.3. მომსახურების (მისი ნაწილის) გაწევის მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.4. შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით.

3.5. შემსყიდველის მხრიდან 3.2. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **7850 (შვიდი ათას რვაას ორმოცდაათი) აშშ დოლარს** ექვივალენტი ლარში („ხელშეკრულების ფასი"), გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

4.2. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა (თვითმფრინავის ეკიპაჟის ხელფასებს, საწვავის, კვების მომსახურების ღირებულებას და მომსახურების გაწევისთვის საჭირო ყველა ხარჯს, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებაში) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4.3. ხელშეკრულების ფასის (ან მისი ნაწილის) გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 ქვეპუნქტის შესაბამისად მომსახურების ან მისი ნაწილის მიღებიდან და მიმწოდებელის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაწეული მომსახურება;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.3. შემსყიდველი ვალდებულია წარუდგინოს მიმწოდებელს მგზავრთა სია და მიაწოდოს მგზავრებს ინფორმაცია რეისების გაფრენის დროისა და საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების წესების შესახებ.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია არ დაუშვას თვითმფრინავის სალონში გაბარიტული ბარგის გადატანა.

5.5. შემსყიდველის ინიციატივით/მიზეზით რეისებზე დაგვიანების შემთხვევაში მიმწოდებელი სრულად იხსნის პასუხისმგებლობას დამკვეთის მგზავრების მიერ რაიმე პრეტენზიის წარმოქმნისას.

5.6. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

5.7. მიმწოდებელს უფლება აქვს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი;

5.8. მიმწოდებელი ვალდებულია გამოყოს ტექნიკურად გამართული საჰაერო ხომალდი მის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული თვითმფრინავების პარკიდან;

5.9. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისად მგზავრებისა და მესამე პირების წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციიდან (სადაზღვევო პოლისების ასლები ინახება საჰაერო ხომალდის ბორტზე);

5.10. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ფრენების განმავლობაში მგზავრთა კვების მომსახურება საავიაციო სფეროში მიღებული სტანდარტების შესაბამისად;

5.11. მიმწოდებელს უფლება აქვს უარი განაცხადოს რეისების შესრულებაზე ან დროებით გადადოს ფრენ(ები)ა:

ა) თუ რეისების შესრულებამდე შესაბამისი საავიაციო უფლებამოსილი ორგანოების მიერ არ იქნება გაცემული შესაბამისი ნებართვები რეისების შესრულებაზე;

ბ) ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;

გ) აფრენა-დაფრენის და გადაფრენის ქვეყნების ინსტრუქციების, სამთავრობო წესების, ბრძანებების და შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით;

დ) მგზავრთა პირადი დოკუმენტაციის არასწორი გაფორმების შემთხვევაში;

ე) მგზავრთა მიერ ავიაკომპანიის მიერ დადგენილი წესების და ინსტრუქციების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 1%-ის ოდენობით, შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

6.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 1%–ის ოდენობით.

6.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური ოდენობა შეადგენს ხელშეკრულების ფასის 20%–ს მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად გაწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა.

7.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. დავათა განხილვის წესი

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. კონფიდენციალურობა

11.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას დაიცვას ამ ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველის მხრიდან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

11.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს ან გახადოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერი სახით კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე პირებისათვის ან განიხილოს მესამე პირთან ასეთი კონფიდენციალური ინფორმაციის შინაარსი. მიმწოდებელს შეუძლია ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გასცეს საკუთარ თანამშრომლებზე და მხოლოდ იმ თანამშრომლებზე და იმ მოცულობით, რაც საჭიროა მათი მხრიდან ფუნქციების შესასრულებლად.

11.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, ამ მუხლის შინაარსის თავისი თანამშრომლებისთვის გაცნობა და კონფიდენციალურობის მოთხოვნების მკაცრი დაცვა.

11.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მიაწოდოს კონფიდენციალური ინფორმაცია მის ქვეკონტრაქტორებს, რათა მათ შეასრულონ სამუშაოსთან დაკავშირებული ვალდებულებები. კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდებამდე ქვეკონტრაქტორებმა მიმწოდებელთან უნდა დადონ კონფიდენციალური ინფორმაციის არ გამჟღავნების შესახებ შეთანხმება, რომელიც შესაბამისობაში იქნება წინამდებარე მუხლთან.

11.5. ამ მუხლის მე-6 პუნქტის დაურღვევლად, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

11.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ორივე მხარე შეთანხმდება ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეწყვეტაზე, მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ყველა ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც მათ მიიღეს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ან შეთანხმებით გაანადგურონ ის.

მუხლი 12. ზოგადი დებულებები

12.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

12.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

12.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ორი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
გიორგი მელაშვილი _____	**იასე ზაუტაშვილი** _____
საქართველოს ეროვნული ბანკის აღმასრულებელი დირექტორი	შპს "ჯორჯიან ეარვეისი" გენერალური დირექტორი
ბ.ა.	ბ.ა.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, გიორგი მელაშვილი, გიორგი მელაშვილი, და დავით ჭელიძე ვადასტურებთ, რომ ჩვენი, მონაწილეობა მომსახურების (2015 წლის 26-27 სექტემბერს თვითმფრინავით გადაყვანის (თბილისი-ბათუმი-თბილისი) მომსახურების გაწევის შესყიდვის პროცესში (მიმწოდებელი შპს ''ჯორჯიან ეარვეისი'') არ იწვევს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტს.

გიორგი მელაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი მელაშვილი

შესყიდვებისა და ლოჯისტიკის
დეპარტამენტის უფროსი

დავით ჭელიძე

შესყიდვებისა და ლოჯისტიკის
დეპარტამენტის სპეციალისტი

17.09.2015